

## მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტის შეფასების სისტემა იმუნოლოგიაში

მე-15 მოდულის ფარგლებში იმუნოლოგიაში სტუდენტის აკადემიური მიღწევების შეფასება შემდეგი სახისაა:

ა. შუალედური შეფასების მეთოდები/ნაწილები (სულ 12 ქულა):

პროფესიონალიზმი - 3 ქულა

ტესტური გამოკითხვა - 6 ქულა

კოლოკვიუმი - 3 ქულა

**პროფესიონალიზმი** - ფასდება 3 ქულით. კრიტერიუმებია: პროფესიული პასუხისმგებლობა (დასწრება 1 ქულა, დაგვიანება 0.5 ქულა, გაცდენა 0 ქულა), კომპეტენტურობა და თვითგანვითარება (ქეისების განხილვაში აქტიური მონაწილეობა 1 ქულა, პერიოდული ჩართულობა 0.5 ქულა, არ მონაწილეობა 0 ქულა), გუნდში მუშაობის უნარი (აქტიური თანამშრომლობა გუნდის წევრებთან 1 ქულა, პერიოდული მონაწილეობა გუნდურ მუშაობაში 0.5 ქულა, არჩართულობა 0 ქულა)

**ტესტური გამოკითხვა** - მოდულის განმავლობაში სტუდენტის ცოდნა 6-ჯერ ფასდება ქვიზით - ტესტების გამოყენებით. ტესტს ეთმობა 10 წუთი, სტუდენტის დავალება შედგება 10 ერთი სწორი არჩევანის მქონე მრავალპასუხიანი ტესტისგან, სწორი პასუხი ფასდება 0.1 ქულით, თითო შეფასების მაქსიმალური ქულა არის 1.

**კოლოკვიუმი** ტარდება ერთხელ, მოიცავს საკითხებს შესავალიდან იმუნური უჯრედების გააქტიურების ჩათვლით. ზემგრძნობელობებისა და აუტოიმუნური დაავადებების შესახებ. კოლოკვიუმის ფორმა არის ტესტური. სტუდენტის დავალება შედგება 30 ერთი სწორი არჩევანის მქონე მრავალპასუხიანი ტესტისგან, სწორი პასუხი ფასდება 0.1 ქულით, მაქსიმალური ქულა არის 3.

საბოლოო გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა პროფესიონალიზმისა და ტესტური გამოკითხვის შედეგად დაგროვილი მინიმუმ 4 ქულა.

მოდულის ბოლოს **გამოცდა** ტარდება საგამოცდო ცენტრში, მრავალი არჩევანის და ერთი სწორი პასუხის მქონე ტესტებით, სულ 20 ტესტი იმუნოლოგიაში. თითოეული ტესტი ფასდება 0.4 ქულით.